აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 44

10 ოქტომბერი 2008 წელი ქ. ბათუმი

პარტიული სიით წარდგენილი კანდიდატებისათვის საარჩევნო რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ

„საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის“ (სეკპ) მიერ უმაღლეს საარჩევნო კომისიაში კანონით დადგენილ ვადაში წარმოდგენილ პარტიულ სიაში №16 (ტაკიძე გივი), №20 (ბერიძე ოთარ), №21 (შაინიძე შალვა), №23 (თედორაძე ზურაბ) უმაღლეს საბჭოს წევრობის კანდიდატებს დაბადების თარიღი მითითებული აქვთ არასწორად - ნაცვლად (რიცხვი, თვე, წელი) მითითებული აქვთ (თვე, რიხცვი, წელი), რაც არ აკმაყოფილებს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 47-ე მუხლის მე-10 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნას.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 49-ე მუხლის მე-3, მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. უარი ეთქვას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისათვის „საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის“ (სეკპ) პარტიული სიის რიგით №16 (ტაკიძე გივი), №20 (ბერიძე ოთარ), №21 (შაინიძე შალვა), №23 (თედორაძე ზურაბ) კანდიდატებს საარჩევნო რეგისტრაციაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე ა. მიქელაძე